# სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

# 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2022 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით მერიაში დარეგისტრირდა 1757 ბრძანება.

შემოსული წერილებისა და განცხადებების რაოდენობამ 2022 წლის მდგომარეობით შეადგინა 7298.

mms-ში დარეგისტრირდა 4396 განცხადება.

გასული წერილების რაოდენობამ შეადგინა 7640.

შიდა მოხსენებითი ბარათებისა და განცხადებების ბრუნვამ შეადგინა 4857.

ელექტრონულად შემოვიდა 2134 განცხადება.

დარეგისტრირდა 99 სამსახურებრივი აქტი.

მომზადდა და დარეგისტრირდა ცხოვრების ფაქტის დადგენის შესახებ 11 განკარგულება.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 47 მომართვა. პასუხი გაეცა ყველა მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას კანონით გათვალისწინებულ ვადებში.

მომზადდა 11 შრომითი და 57 ადმინისტრაციული ხელშეკრულებების პროექტი.

## ფინანსები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საწყისმა ბიუჯეტმა შეადგინა 18757,8 ათასი ლარი:
ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 17098,6 ათასი ლარით, მათ შორის:
- საგადასახადო შემოსავლები - 15356,1 ათასი ლარი.
- სხვა შემოსავლები -1742,5 ათასი ლარი.
- არაფინასური აქტივების კლება 584,4 ათ.ლარი

თორმეტ თვეში ბიუჯეტის მიმართ ათჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 37124,4 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 18366,6 ათასი ლარით.

- საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრა -17175,0 ათასი ლარით.
- სხვა შემოსავლები განისაზღვრა - 2775,6 ათასი ლარით
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 564,4 ათასი ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერის ოდენობამ შადგინა - 12588,9 ათასი ლარი.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობამ შეადგინა - 210,0 ათასი ლარი, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 5744,4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 4567,5 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგირთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შსახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 350,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 517,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 450,0 ათასი ლარი.

საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (შემდგომში UNDP) პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის მუნიციპალიტეტს გამოეყო 162,6 ათასი ლარი (60 000 ევროს ექვივალენტი).

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 აპრილის N627 განკარგულებით“ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -660,0ათასი ლარი.

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 4047,4 ათ.ლარი .

**შემოსულობების ანალიზი**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დეკემბრის თვის შემოსავალმა შეადგინა 34175,6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 103,2 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 17480,6 ათასი ლარი, რაც დეკემბრის თვის გეგმის 101,8 %-ია,მათ შორის: დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 14302,1 ათასი ლარი გეგმა შესრულდა- 100.3 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 1235,8 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 106,7%-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 1942,7 ათ.ლარი გეგმა შესრულდა -103,5 %-ით.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგირთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა - 350,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა 446,5 ათასი ლარი, ხოლო საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით 482,4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა - 5749,3 ათასი ლარი.

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩამორიცხულია - 182,7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტს ჩამოირიცხა - 4562,5 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 აპრილის N627 განკარგულებით“ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა - 660,0 ათასი ლარი.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კაპიტალური დანიშნულების გრანტი 81,3 ათასი ლარი.

**სულ** სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩამორიცხულმა ტრანსფრის ოდენობამ შეადგინა -12514,7 ათასი ლარი.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან თორმეტ თვეში მიღებულია 2941,8 ათასი ლარი, გეგმა 2775,6 ათასი ლარი, შესრულება (106,0%) კერძოდ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან - 161,3 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი -1060,0 ათასი ლარი, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია - 480,0 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 198,0 ათასი ლარი, ბანკიდან მიღებული დეპოზიტი - 676,8 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 26,0 ათ.ლარი, ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 182,5 ათ.ლარი და სხვა შემოსავლები - 157,2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალია - 1238,5 ათ.ლარი, კერძოდ შემოსავალი ძირითადი ქონების გაყიდვიდან - 113,3 ათ.ლარი და შემოსავალი მიწის გაყიდვიდან -1125,2 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 219,4%-ით.

ხოლო, რაც შეეხება 2022 წლის დეკემბრის თვის შემოსულობების შესრულების შედარებას 2021 წლის ანალოგიურ პერიოდის ფაქტთან (22912,3 ათასი ლარი), შემოსულია 11263,3 ათასი ლარით მეტი.ზრდის მაჩვენებელი არის 149,2 %

**შემოსავლების შესრულების მაჩვენებელი სახეობების მიხედვით შემდეგია**:

2022 **წლის წლიური შემოსულობები ათას ლარებში**:

| N | **დასახელება** | **გეგმა** | **ფაქტი** | **შესრულების %** |
|---|---|---|---|---|
| 1 | შემოსავლები სულ | 33103,9 | 34175,6 | 103,2 |
| 2 | საგადასახადო შემოსავლები | 17175,0 | 17480,6 | 101,8 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | გრანტები | 12588,9 | 12514,7 | 99,4 |
| 4 | სპეციალური ტრანსფერი | | | |
| 5 | სხვა შემოსავლები | 2775,6 | 2941,8 | 106,0 |
| 6 | არაფინანსური აქტივები | 564.0 | 1238,8 | 219,4 |

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის** 2022 **წლის დეკემბრის თვის ბიუჯეტის გადასახდელების ანალიზი**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 32095,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 86,5%-ია (თორმეტიი თვის გეგმა -37124,4ათასი ლარი)

**ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა (მუხლობრივ ჭრილში წლიურ გეგმასთან მიმართებით, ათას ლარებში):**

| N | **დასახელება** | **გეგმა წლიური** | **ფაქტი წლიური** | % |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| 1 | ხარჯები | 19236,5 | 18086,3 | 94,1 |
| 2 | შრომის ანაზღაურება | 3061,3 | 2959,8 | 96,7 |
| 3 | საქონელი და მომსახურება | 3112,1 | 2742,3 | 88,1 |
| 4 | სუბსიდია | 8875,6 | 8737,0 | 98,4 |
| 5 | სოციალური უზრუნველყოფა | 1740,6 | 1722,7 | 99,0 |
| 6 | სხვა ხარჯი | 1816,3 | 1347,9 | 74,2 |
| 7 | გრანტი | 595,4 | 541,9 | 91,0 |
| 8 | პროცენტი | 35,2 | 34,7 | 98,6 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9 | არაფინანსური აქტივი | 17817,8 | 13939,1 | 78,3 |
| 10 | ვალდებულებების კლება | 70,1 | 70,1 | 100,0 |
| | | | | |
| | სულ ჯამი | 37124,4 | 32095,5 | 86,5 |

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით ხარჯებმა დარგების მიხედვით შეადგინა:

1. **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი შეადგენს**

- 4203,6 **ათას ლარს**.

1.2 მათ შორის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების

ხელშეწყობის ხარჯი - 151,0 ათასი ლარი.

2. **ეკონომიკის განვითარება** - 9345,6 **ათასი ლარი. მათ შორის**:

2. 1 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა

ღონისძიებების დაფინანსება - 8570,9 ათასი ლარი.

2.2. საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის მომზადება - 6,8 ათასი ლარი.

2.3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 766,8 ათასი ლარი.

2.4.სოფლის მეურნეობის განვითარება - 1,1 ათასი ლარი.

3 . **დასუფთავება და გარემოს დაცვა სულ** - 2222,1 **ათასი ლარი. მათ შორის**:

3.1. დასუფთავება - 124,5 ათასი ლარი.

3. 2.. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება - 487,5 ათასი ლარი.

3.3. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება - 1610,1 ათასი ლარი.

4. **საბინაო კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია სულ** - 4520,8 **ათასი ლარი. მათ შორის**:

4.1 ბინათმშენებლობა - 1021,9 ათასი ლარი.

4.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 71,9 ათასი ლარი.

4.3 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 779,0 ათასი ლარი.

4.4. სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 2513,2 ათასი ლარი.

4.5. ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 134,8 ათასი ლარი.

5 . **განათლების დარგით გახარჯულია სულ** - 4982,3 **ათასი ლარი, აქედან**:

5.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდირებაზე - 3000,4 ათასი ლარი.

5.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტირება) – 571,9 ათასი ლარი.

5.3 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა - 1159,1 ათასი ლარი.

5.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი -250,9 ათასი ლარი.

6. **კულტურა , რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** – 4467,1 **ათასი ლარი,აქედან**

6.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშნებლობა რეკონსტრუქცია - 1012,4 ათასი ლარი.

6.2. სპორტული სკოლები - 1575,2 ათასი ლარი.

6.3. კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 1156,6 ათასი ლარი

6.4 ახალგაზრდული ორგანიზაციების,კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება - 327,2 ათასი ლარი

6.5. საინფორმაციო მომსახურება - 130,7 ათასი ლარი

6.6. ხონი სამტრედიის ეპარქია - 265,0 ათასი ლარი.

7. **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - სულ** - 2354,0 **ათასი ლარი, მათ შორის**:

7.1. ჯანდაცვის პროგრამები - 127,5 ათასი ლარი.

7.2 სოციალური პროგრამები - 2226,5 ათასი ლარი.

2022 **წელს** გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების 332 **ხელშეკრულება** მათ შორის:

**ელექტრონული ტენდერით გაფორმებულია** 122 **ხელშეკრულება**

- გამარტივებული შესყიდვით გაფორმებულია 182 **ხელშეკრულება**
- კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმებულია 28 **ხელშეკრულება**
- შესყიდვების განყოფილების მიერ სულ გამოცხადებულია 165 **ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე**:
  - შეწყვეტილია 5 **ტენდერი**;
  - არ შედგა 29 **ტენდერი**;
  - უარყოფითი შედეგით დასრულდა 10 **ტენდერი**;
  - ხელშეკრულება გაფორმდა 121 **ელექტრონული ტენდერის** საფუძველზე;

## ინფრასტრუქტურა

**სამტრედიის მუნიციპალიტეტში** 2022 **წელს განხორციელებული პროექტები**:

2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ფონდების დაფინანსებით განხორციელდა შემდეგი სახის პროექტები:

1. **რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით** - 69 ლოკაციაზე (33 ლოტი) განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებზეც გამოიყო 6 705 787,00 ლარი, მათ შორის რეგ-ფონდის წილი იყო 5 744 356,00 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის 961 431,00 ლარი. აქედან ორი პროექტი 2021 წლიდან გარდამავალია (დაფნარი-ოფეთის გზა და რაგბის სტადიონი), ხოლო 2022 წლიდან 2023 წელს ასევე გარდამავალ პროექტებადაა გადმოსული 5 პროექტი (2 ლოტი - ჯიხაიში ჭაგნის გზა და ჩხენიშის მიმართულება). 64 ლოკაციაზე მოხდა ასფალტო ბეტონისა და ბეტონის საფარით გზების რეაბილიტაცია. დაიგო 22 780 გრძ.მ ასფალტ ბეტონისა და 8 730 გრძ.მ ბეტონის გზა. აშენდა 1 ამბულატორია, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 სკვერსა და 3 სპორტულ ობიექტს.
   სამუშაოები შესრულებულია როგორც ფაქტიურად ასევე საკასო შესრულებით100%-ით.
2. **საპილოტე რეგიონების ინტეგრიტებული განვითარების პრორამით** - დაფინანსდა 14 პროექტი (10 ლოტი). 7 მრავალსართულიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია; 3 გზა; 2 სკვერი; 1 ბაგა ბაღი და 1 საზ. სივრცეების გამყოფი ზოლები (ღობეები) მოწყობა. აქედან ნაბაკევის სკვერი გარდამავალია და გადმოსულია 2021 წლიდან ხოლო იანეთის ბაღი და ღობეების პროექტი გარდამავალია 2023 წელში. სულ გამოყოფილია 5 846 065 ლარი, აქედან სრიგპ-ს წილია 5 340 511 ლარი, ხოლო თანადაფინასება - 505 553 ლარი.
   პროექტები ყველა დასრულებულია გარდა იანეთის საბავშო ბაღისა და საზოგადოებრივი გამყოფი სივრციეებისა. რაც შეეხება ფასადებს, 7 ბინიდან 2 დასრულებულია საკასო შესრულებით, 5 დასრულებულია ფაქტიური სამუშაოები და მიმდინარეობს დოკუმენტაციის მომზადება.
3. **სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები** - 2022 წელს მუნიციპალიტეტში 14 ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა 136 პროექტი, რაზედაც გამოიყო 660,0 ათასი ლარი, ხოლო თანადაფინანსებით 117,0 ათასი ლარი. მოხდა 12 სკვერის რეაბილიტაცია, ზოგიერთ მათგანში მოეწყო სავარჯიშო ტრენაჟორები. სხვადასხვა სოფლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 სპორტულ მოედანს, მოეწყოს საფარი, განათება და შემოიღობა ტერიტორია. არსებულ 6 მგზავრთა მოსაცდელს ჩაუტარდა სარეაბილიტაცო სამუშაოები, მოეწყო განათებები და კეთილმოეწყო მოსაცდელებთან მისასვლელი ტერიტორია. ასევე შემოიღობა სოფლის სასაფლაოები. გომის საბავშვო ბაღის ეზო შემოიღობა და შეძენილი იქნა შესაბამისი ინვენტარი. მთიან სოფლებში გამოიცვალა წყალმომარაგების მილები, სულ 6 სოფელში.

სოფლის შიდა გზები მოიხრეშა და ზოგიერთ მათგანზე მოეწყო ხიდ-ბოგირები, სულ 21 პროექტი განხორციელდა ამ მიმართულებით. 10 ადმინისტრაციულ ერთეულის სოფლებში განხორციელდა გარე განათების ქსელების მოწყობის სამუშაოები. სხვადასხვა სოფლებში 11 მიმართულებაზე მოეწყო და გაიწმინდა სანიაღვრე არხები. შესყიდვა განხორციელდა 53 პროექტზე. ხოლო 82 პროექტზე შესრულდა სამუშაო.

ყველა პროექტი დასრულებულია გარდა ერთისა - მელაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის ოთახის რემონტი და სველი წერტილის მოწყობა.

4. **სკოლების მცირე რეაბილიტაცია** - აღნიშნული პროგრამით მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 სკოლა, თანხით - 374 817 ლარი. სოფ. ჩხენიშისა და N2 საჯარო სკოლის (შერწყმული) მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. თანხა გამოყოფილია 2022 წელს , სამუშაოები გრძელდება 2023 წელსაც.

5. **ადგილობრივი ბიუჯეტი** - 2022 წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 4 289 611 ლარით დაფინანსდა 63 პროექტი, მათ შორის მოეწყო და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა შემდეგი კატეგორიის ობიექტებს:

   სკვერი - 4; ნაპირსამაგრი - 1; სპორტული მოედანი - 10; გზა (ასფალტი; მოხრეშვა, ორმული) – 18; სანიაღვრე სისტემა - 10; ბინათმშენებლობა - 7; არასაცხოვრებელი ფართი (მათ შორის 1 ტოლების ბაღის რეაბილიტაცია ) – 4; წყლის სისტემა - 1; მოსაცდელი - 8 (შესრულდა 4, ხოლო 4-ზე ტენდერი არ შედგა).

   სულ დასრულებულია 42 პროექტი. შეწყდა - 1; შეჩერებულია - 2; ტენდერი არ შედგა - 6 პროექტზე. 12 პროექტზე მიმდინარეობს დასრულებითი სამუშაოები.

სულ 2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოიყო 17 993 280 ლარი.

## ქონების მართვა, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა

2022 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტმა საკუთრებაში მიიღო 6 არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ასევე მოხდა 4 სკვერის, 2 ბიბლიოთეკის და 1 ბაშის კულტურის სახლის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაცია. ასევე დაწყებულია 20 ქონებაზე გადმოცემის პროცედურები.

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით 15 ლოტზე გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი აქედან ორი არ შედგა. 2022 წელს აუქციონის შედეგად გაყიდული ქონებიდან მუნიციპალიტეტმა მიიღო 461 490 ლარი, რომელიც წინა წელთან შედარებით 407 585 ლარით მეტია.

ბუნებრივი რესურსების კარიერებთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესუსების სამინისტროს თხოვნის საფუძველზე გაიცა 27 რეკომენდაცია. ჯამურად თანხმობა გაცემულია 4 100 000 კბ.მ. ქვიშა-ხრეშზე, რომლის სალიცენზიო მოსაკრებლიდან შემოსავალი შეადგენს 820 000 ლარს სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში

47 ერთეულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს შეეცვალა კატეგორია და გადაყვანილ იქნა არასასოფლოში, რითაც განმცხადებლებს მიეცათ შესაძლებლობა განახორციელონ სხვადასხვა კომერციული პროექტები. 92 ჰა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რომლის საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 478 000 ლარი.

ასევე დასრულდა ინვენტარიზაციაზე მუშაობა, რომლითაც მოწესრიგდა მუნიციპალური ქონების აღრიცხვიანობა.

## ზედამხედველობა

2022 წლის ბოლოს შეიქმნა ზედამხედველობის სამსახური, რომელიც სხვა ფუქნციებთან ერთად ახორციელებს ინფრასტრუქტურული პროექტებზე ზედამხედველობას.

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ფარგლებში მერიის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაგეგმილი თანხის ფარგლებში (გეგმით 180 000 ლარი) შემოსული იქნა 197 829 ლარი. ასევე შეთანხმება შედგა 31 მეწარმე სუბიექტთან მოსაკრებლის დავალიანების გადახდის 1 წლის პერიოდზე გადანაწილებაზე, საერთო თანხით 20 657 ლარი. 46 სუბიექტზე, მათ მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტის საგადასახადო ან სხვა კომპენტეტური სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციული სამართლებლივი აქტების საფუძველზე განხორციელდა 34 371 ლარის ჩამოწერა.

ასევე 2022 წლის ბოლოს განხორციელდა ბილინგის პროგრამის შეძენა და მიმდინარეობს მისი დანერგვა, ბიზნეს სუბიექტებისთვის აბონენტის ნომრის მინიჭება. რაც საბოოლო ჯამში ხელს შეუწყობს მოსაკრებლის ადმინისტრირება უფრო სრულყოფილი, ოპერატიული, დაცული და მომხმარებლებისათვის კომფორტული გახდეს.

## ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამის 2022 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენდა 1 087 800 ლარს, წლის ბოლოსთვის გაიზარდა და ბიუჯეტი გახდა 1 755 800 ლარი, აქედან ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა --264 000 ლარი - (403 ბენეფიციარი), სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო თანხა - 10 800 ლარი - (40 ბენეფიციარი), მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ფინანსური დახმარება - 2 000 ლარი - (1 ბენეფიციარი), ერთჯერადი დახმარება - 1 479 000 ლარი - (4047 ბენეფიაციარი), სულ ჯამურად - 4491 ბენეფიაციარი.

## განათლება, კულტურა, ძეგლთა დაცვა, ტურიზმი, სპორტი და ახალგაზრდობის საქმეები

სფეროს 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 402 **500 ლარს** (კულტურის, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის ასიგნება - **279 400 ლარი**; ახალგაზრდულ ღონისძიებათა ასიგნება -**33 100 ლარი;** სპორტულ ღონისძიებათა ასიგნება -**90 000** ლარი;).

**კულტურა, ძეგლთა დაცვა, ტურიზმი** -279 400 **ლარი**
**ხარჯი**-275 988.62 **ლარი**

**განხორციელდა შემდეგი აქტივობები** :

- სპეციალურ რეჟიმში მომუშავე ორგანიზაციებისათვის საშობაო 18 ამანათის შეძენა
- ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონებს გადაეცათ მისალოცი ბარათები და სუვენირები
- 21 მარტს ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა ჩვენს მუნიციპალიტეტში მოღვაწე ჟურნალისტებთან, რომლებსაც გადაეცათ საჩუქრები
- ქუთაისის საგამოფენო დარბაზ ,,ვარლაში" მხატვართა საგაზაფხულო ნამუშევრების გამოფენაზე მონაწილე მხატვრების დაჯილდოება
- გაიმართა „ფოლკლორის ზეიმი“ სამტრედიაში ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფების მონაწილეობით
- მომღერალ ლაშა ღლონტის კონცერტი

- „ღამის შოუს“ ბენდის კონცერტი
- წარმატებული პედაგოგების დაჯილდოვება
- კვარტეტ „რანინას“ კონცერტი
- საჩხერის პაოლო იაშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „ფუტურო ადამიანები“
- შპს „სტუდია კავკასიონი“-ს მიერ დოკუმენტური ფილმის გადაღება
- პოეტ ნინო უძილაურის მეოთხე კრებულის ,,მე, შენ, ის“ პრეზენტაცია
- საახალწლო მსვლელობისათვის სანტების ფორმების შეძენა
- ნაძვის ხის ანთების ღონისძიება
- საახალწლო კონცერტი
- „თეატრალური კვარტეტის“ კონცერტი
- ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში დაცული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით 3D ვირტუალური ტურის გადაღების და სერვერზე განთავსების მომსახურება
- სხვადასხვა სფეროში მოღვაწე დამსახურებული სამტრედიელების დაჯილდოვება
- ტრანსპორტირების მომსახურებები

**ახალგაზრდული ღონისძიებების ასიგნება**-33 100 **ლარი**
**ხარჯი**-31 914.79 **ლარი**

**განხორციელდა შემდეგი აქტივობები** :

- გუნდ „ინტერსტელარის „ მონაწილეობა ინტელექტუალურ თამაშში ,, რა?სად?როდის?“
- ტრაგიკულად დაღუპული ძმების იოანე და თემურ ვაშაკიძეების სახელობის მუნიციპალურ ი მემორიალი ინტელექტუალურ თამაშებში: ,,რა?სად?როდის?“, ,,ბრეინ-რინგი“, ,,ჯეპარდი“ „ფიფა“ და მუსიკალური ,,რა?სად?როდის?“
- დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეებისათვის შეძენილი იქნა წიგნები
- 30 აპრილს დიდ ჯიხაიშში ნიკო ნიკოლაძის სახლ -მუზეუმში გაიმართა ინტელექტუალური თამაში „ რა?სად?როდის?“ სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედ საჯარო სკოლებს შორის,რომელთაც საჩუქრად გადაეცათ წიგნები
- 17 მაისი მუზეუმის კვირეულთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება თემაზე ,, ა.შანიძის ცხოვრება და მოღვაწეობა,“ რომელშიც ჩართული იყვნენ ნოღის საჯარო სკოლის მოსწავლეები, ასევე 18 მაისს მუზეუმის საერთასორისო დღესთან დაკავშირებით დიდ ჯიხაიშში სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში
  გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „საქართველოს დამოუკიდებლობა და

დამოუკედებლობის აქტზე ხელმომწერები'' ლექცია წაიკითხეს საერთაშორისო ურთიერთობების ა ხალი და უახლესი ისტორიის დოქტორანტმა გიგა ჩალიგავამ და თანაწამყვანმა გიორგი ცაგარეიშვ ილმა, ლექციის ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა და ნიკო ნიკოლაძის თემის ირგვლივ გაიმართა კონკურსი კითხვა-პასუხის რეჟიმში, რომელშიც ჩართული იყვნენ სამტრედიის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები, გამარჯვებულებს გადაეცათ წიგნები

- 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება მოწვეული იყო ანიმაციური პერსონაჟები
  ასევე სამსახურის ორგანიზებით მოეწყო კულტურული ფესტივალი, სადაც საჯარო სპოლებმა წარმოადგინეს საქართველოს კუთხეები

- 23 და 24 ივნისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონის“ კონკურსი დისტანციურ რეჟიმში
- გრანტის მფლობელი სტუდენტების დაჯილდოვება წიგნებით
- 3 დეკემბერი შშმ პირთა საერთაშორისო დღე, დღის ცენტრ „ლამპარის“ ბენეფიციართათვის ანიმაციური პერსონაჟების მოწვევა და საჩუქრების შეძენა
- #1 საჯარო სკოლის დოკუმენტური ფილმების კინოკლუბის CineDOC-ის ხელმძღვანელის ეკატერინე შვანგირაძის წახალისება
- ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოვება
- ტრანსპორტირების მომსახურებები

**სპორტული ღონისძიებების ასიგნება**- 90 000 **ლარი**
**ხარჯი**-89 221.10 **ლარი**

**განხორციელდა შემდეგი აქტივობები** :

- ქ.რუსთავში გამართულ საქართველოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში 23-წლამდელთა შორის გია უღრელიძემ 65კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა, დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება.-გადაეცა ფულადი ჯილდო
- კალათბურთში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თამაზ ხაფავასა და სენსეი მიხეილ ქანთარიას იუბილეებთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა და გადაეცათ სუვენირები
- რეზო შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკში
- ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ.“ჯვარცმის„მინდორზე“ გაიმართა შეჯიბრი ლელობურთში
- კვირაცხოვლობას ნაბაკევის თემში გაიმართა შეჯიბრი მკლაჭიდსა და ქართულ ჭიდაობაში
- 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა სპორტული ღონისძიებები მკლავჭიდსა და ქართულ ჭიდაობაში
- 26 მაისს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საცხენოსნო სპორტული კლუბის იპოდრომზე ჩატარდა დოღი
- 29 მაისს ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ინგლისურ სპორტინგში „სამტრედია 2022“
- 17 ივნისს სამტრედიის საჭადრაკო კლუბის ყოფილი დირექტორის ბეჟან ჩხაიძის ხსოვნის პატივსაცემად გაიმართა ღია ბლიც-ტურნირი ჭადრაკში
- 23 ივნისს მსოფლიო ოლიმპიზმის დღის აღსანიშნავად მუნიციპალიტეტში გაიმართა კვირეული სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში სადაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები
- მუნიციპალიტეტში გამართული სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე გუნდებისათვის სპორტული ფორმების, თასებისა და მედლების შეძენა
- ირაკლი ქუთათელაძის სახ ტურნირი მინი ფეხბურთში
- ავტორბოლა
- ა. ქუთათელაძის სახ. მემორიალი კალათბურთში 3x3
- სამტრედიის გრან-პრი ცხენოსნობაში
- სევერიან თევზაძის სახ. საფეხბურთო ტურნირი
- სამოყვარულო ფეხბურთის „მასტერ ლიგის“ იმერეთის რეგიონალურ თამაშებში გამარჯვებული იანეთის გუნდის წახალისება

- ფეინთბოლის ტურნირი
- ანზორ მაჩიტიძის სახელობის ტრადიციული მე-6 საჭადრაკო მემორიალი
- სამტრედიის მუნიციპალიტეტში  რაგბის ფესტივალი „სამტრედია-2022“
- ვაჟა ტერელაძის სახელობის ტურნირი ჭადრაკში
- ნიკოობის დღესასწაულთან დაკავშირებით ჩატარდა დოღი
- მ. ქისმარიასა და ვ. ხელისუფალის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ხელბურთში
- 2022 წლის წარმატებული სპორცმენების დაჯილდოვება
- ტრანსპორტირების მომსახურებები

## სამხედრო გაწვევა და აღრიცხვა

2022 წლის 1 აგვისტოს #405 დადგენილების საფუძველზე საქართველოში  2022წლის 1 აგვისტოდან  30 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა საშემოდგომო გაწვევა. წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით გასაწვევი წვევამდელების რაოდენობა განისაზღვრა 28 წვევამდელით.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამწვევ კომისიაზე გამოსაძახებელი წვევამდელების რაოდენობა  შეადგენდა 823 წვევამდელს.  გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა და მიღებული იქნა გადაწყვეტილება 456 წვევამდელზე.

სამხედრო სამსახურიდან გადავადება 30-ე მუხლის სხვადასხვა ქვეპუნქტით მიიღო 431-მა წვევამდელმა, მათ შორის: სწავლის გასაგრძელებლად 229-მა წვევამდელმა, ჯანმრთელობის მდგომარეობით (გადავადება 1 წლამდე და შეზღუდულად ვარგისი) 62 წვევამდელმა. რელიგიურ ორგანიზაციაში გაწევრიანდა 69 წვევამდელი (მათ შორის „გირჩი“ 58,  კატაკომბური ეკლესია 11).

აქედან საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფებში სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან გაწვეულია 15 წვევამდელი. 4-მა წვევამდელმა გადაიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან განთავისუფლების მოსაკრებელი. ერთი წვევამდელი გაწვეულია არასამხედრო ალტერნატიულ შრომით სამსახურში.

სასამართლოში შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე გადაეცა 11 წვევამდელი. აქედან საქმისწარმოება შეწყდა 3 წვევამდელზე. ერთი წვევამდელი დაჯარიმდა, დანარჩენი წვევამდელების მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა რაიონული სასამართლოს მიერ გადატანილია მ/წლის 10 წვევამდელზე.

2022 წელს განხორციელდა 2005 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა. საერთო სიაში შეყვანილი იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ჭაბუკები, რომელთა რაოდენობა შეადგენდა 305 ჭაბუკს. სამხედრო სამსახურში გამოცხადდა და პირველად სამხედრო აღრიცხვაზე დადგა 269 ჭაბუკი, რაც საერთო რაოდენობის 89 %-ია.